სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030615196115820

13 / იანვარი / 2020 წ. **თბილისი #06-4/ო**

სსიპ -ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა კარიერული განვითარების წესისა და პირობების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126[1] მუხლის მე -4 პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს თანდართული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) თანამშრომელთა კარიერული განვითარების წესი და პირობები.
2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის იურიდიულ სამმართველოს (ლ. ებანოიძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებ.გვერდზე გამოქვეყნება.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2019 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე